მუნიციპალიტეტების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება

2023 წლის მუნიციპალური დაფინანსების პრაქტიკა

კვლევა მოამზადა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI)

შინაარსი

შესავალი	2
კვლევის მეთოდოლოგია	2
ძირითადი მიგნებები	3
ზოგადი მიმოხილვა	5
2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზი	10
მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება	11
სხვა რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება	12
რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მიზნობრიობა	14
დასკვნა	18

შესავალი

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) კვლევის მიზანია, აჩვენოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა. ამ მიზნით, კვლევაში შესწავლილია 2023 წელს 59 მუნიციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი) მიერ ბიუჯეტიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული ფინანსური რესურსებისა და სხვა მატერიალური ქონების მასშტაბი და მიზნობრიობა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების ძირითად ნაწილს საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია იღებს. სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერა საკმაოდ მასშტაბურია და ბიუჯეტიდან დოტაციის წესით მიღებული, პირდაპირი დაფინანსების გარდა, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან თანხების მიღებასა და უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემას მოიცავს.

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი მატერიალური სიკეთის ძირითადი ნაწილი რელიგიური მიზნების განხორციელებას ხმარდება და წინააღმდეგობაში მოდის სეკულარული სახელმწიფოს პრინციპთან. მოქმედი პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც წესი, არ ამოწმებს გადასაცემი მატერილური სიკეთის მიზნობრიობის დასაბუთებას, ბევრ შემთხვევაში კი, გადაცემის ფინანსურ დოკუმენტებში საერთოდ არ ჩანს თანხის/ქონების გადაცემის მიზანი.

კვლევის მეთოდოლოგია

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების შესწავლის მიზნით, TDI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით მიმართა საქართველოს 59 მუნიციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქის მერიებს.

საკვლევი მასალა მოიცავდა: საქართველოს მუნიციპალიტეტების, ხუთი თვითმმართველი ქალაქის მერიებისა და თბილისის 10 რაიონული გამგეობის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს. საჯარო ინფორმაციის სახით მიღებულ დოკუმენტებთან ერთად, კვლევის პროცესში დამუშავდა და გაანალიზდა საქართველოს წლიური ბიუჯეტის და მუნიციპალიტეტების საკრებულოების საბიუჯეტო დადგენილებები.

კვლევაზე მუშაობდა TDI-ს იურისტი მანუჩარ ცეცხლაძე.

ძირითადი მიგნებები

- 2023 წელს, მუნიციპალიტეტების მერიებისა (45) და თბილისის 10 რაიონული გამგეობის მიერ, რელიგიური ორგანიზაციებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა მთლიანობაში **6,744,715 ლარს** შეადგენს. ამ თანხის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელ ეკლესიაზე მოდის, ხოლო სხვა რელიგიური გაერთიანებების წილი 1 პროცენტზე ნაკლებია.

- 2023 წელს, 45-მა მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, სასულიერო პირების, ეპარქიების თუ იურიდიული პირებისთვის გამოყო სულ **6,717,044 ლარი**.

- 2023 წელს, 45-მა მუნიციპალიტეტმა და თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს **27,671 ლარი გადასცა**.

- საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე TDI-ს პასუხი 58-მა მუნიციპალიტეტმა მიაწოდა. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, 17 მუნიციპალიტეტს საპატრიარქოსთვის 2023 წელს ფინანსური დახმარება არ გაუწევია. 41-მა მუნიციპალიტეტმა რელიგიურ ორგანიზაციებს **5,384,409 ლარი** გადასცა. აქედან, მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, სასულიერო პირების, ეპარქიების თუ იურიდიული პირებისთვის გამოიყო სულ **5,356,738 ლარი**. სხვა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება კი მხოლოდ **27,671 ლარია**.

- მიუხედავად არაერთი წერილისა, ექვსმა მუნიციპალიტეტმა (ადიგენი, ბორჯომი, მარნეული, წალკა, ოზურგეთი და ახალქალაქი) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის განცხადებაზე TDI-ს პასუხი არ გასცა. მათ შესახებ ინფორმაცია დამუშავდა 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილებებით, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოიყო **1,340,206 ლარი**. აღნიშნულ მონაცემებში არ შედის ახალქალაქი, რადგანც საბიუჯეტო დადგენილებაში თანხა მითითებული არაა.

- 2023 წელს, საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი მუნიციპალური დაფინანსების თითქმის ნახევრის ხარჯვის მიზნობრიობა უცნობია. იმ ნაწილში, კი სადაც თანხის მიზნობრიობა ცნობილია, პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა ეკლესიების დაფინანსება/სუბსიდიაზე, მშენებლობა/რესტავრაციასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იხარჯება.

- ზოგიერთი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დადგენილებაში ვხვდებით ცალსახად არასეკულარული შინაარსის ჩანაწერებსა და მიზნებს, როგორიცაა „ქრისტიანული

სარწმუნოების გაზრდა მოსახლეობაში“ და „ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის მაღალი მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში“.

- ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში თანხის გადარიცხვის საფუძვლად მითითებულია პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია, რაც ამ უწყების პრობლემურ საქმიანობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

- 2023 წელს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარდა, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო **25 მილიონი ლარი**, რომელსაც ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

- 2023 წელს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მთავრობამ განკარგულების საფუძველზე დამატებით **33,350,213 ლარი** გადასცა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, აგრეთვე მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საქველმოქმედო ფონდებისათვის.[1]

- ჯამში, 2023 წელს, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან **მართლმადიდებელ ეკლესიას 65 მილიონამდე ლარი გადაეცა.**

[1] *საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 21 მარტის წერილი GOV 0 24 00008280*

ზოგადი მიმოხილვა

2023 წელს რელიგიური ორგანიზაციებისთვის მუნიციპალური საბიუჯეტო თანხების გადაცემის შესახებ საჯარო ინფორმაცია TDI-მ 64 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან (59 მუნიციპალიტეტის და 5 თვითმმართველი ქალაქის[2] მერიები) გამოითხოვა.[3] მათგან 58-მა ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულმა გამოგზავნა ინფორმაცია, ხოლო დანარჩენი ექვსი მუნიციპალიტეტის (ადიგენი, ბორჯომი, მარნეული, წალკა, ოზურგეთი, ახალქალაქი) მონაცემები დამუშავდა 2023 წლის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დადგენილებებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. აქედან, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიამ რელიგიური ორგანიზაციების ფულადი დახმარების შესახებ არც საჯარო ინფორმაცია გასცა და არც მის საბიუჯეტო დადგენილებაში გვხვდება ინფორმაცია რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ.

58 მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 41-მა მუნიციპალიტეტმა 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხა გამოუყო მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, მის ეპარქიებს, ეკლესიებს, მონასტრებს, საპატრიარქოს/ეპარქიების დაქვემდებარებაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებს, მის იურიდიულ პირებს. მცირე თანხა გამოიყო სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვისაც.

ამავე მონაცემების მიხედვით, 2023 წელს 17 მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარება საპატრიარქოსთვის ან სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის არ გაუწევია.[4] არსებული მონაცემები, უმრავლეს შემთხვევაში, ემთხვევა ამ მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დადგენილებებს. ზოგ შემთხვევაში კი ადგილობრივი ბიუჯეტი ითვალისწინებდა რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანხის გაცემას, თუმცა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წელს ეს თანხა არ გაუციათ. მაგალითად, კასპის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს არცერთი რელიგიური გაერთიანებისთვის არ გადაუცია თანხა, მაგრამ კასპის საკრებულოს საბიუჯეტო დადგენილებაში გვხვდება ქვეპროგრამა „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“, რისთვისაც 2023 წელს

---

[2] *თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი*

[3] *ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის საჭირო გახდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის რამდენჯერმე გაგზავნა, რათა მათ მითითებული დოკუმენტაცია მოეწოდებინათ.*

[4] *კასპი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი, ქედა, შუახევი, ხულო, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, ახმეტა, დედოფლისწყარო, მცხეთა, ყაზბეგი, ტყიბული, ლენტეხი, გარდაბანი.*

გათვალისწინებულია 80,000 ლარი.[5] იდენტური შემთხვევა გვხვდება მცხეთის[6], ყაზბეგის[7], ლენტეხისა[8] და ახმეტის[9] მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დადგენილებებში.

იმ ხუთი მუნიციპალიტეტის (ადიგენი, ბორჯომი, მარნეული, წალკა, ოზურგეთი) 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილებების თანახმად, რომლებმაც TDI-ს საჯარო ინფორმაცია არ მიაწოდეს, რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი იყო 1,360,306 ლარი. სავარაუდოდ, აღნიშნული თანხა სრულად ან მეტწილად მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა.[10]

შესწავლილი შედეგები აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტებისა (59) და თვითმმართველი ქალაქების (5) მერიების მიერ, 2023 წელს, რელიგიური ორგანიზაციებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა მთლიანობაში 6,744,715 ლარს შეადგენს. ამ თანხის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელ ეკლესიაზე მოდის, ხოლო სხვა რელიგიური გაერთიანებების წილი 1 პროცენტზე ნაკლებია.

---

[5] კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №21, 2022 წლის 16 დეკემბერი.

[6] მცხეთის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 02 04)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 20,000 ლარი.

[7] ყაზბეგის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა“ (05 02 03)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 50,000 ლარი.

[8] ლენტეხის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 04)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 3,000 ლარი.

[9] ახმეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 05)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 1,000 ლარი.

[10] ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით ქვეპროგრამის განმახორციელებელ პირად მითითებულია “ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია.” ადიგენის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილებაში ქვეპროგრამის აღწერაში განსაზღვრულია კონკრეტული მართლმადიდებლური მონასტრები, რომელთაც უნდა მოხმარდეს ეს თანხა. წალკისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილებში პროგრამის აღწერაში მითითებულია ეკლესია-მონასტრები და ტაძრები. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით 450,000 ლარით დაფინანსდა “მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია”. ხოლო 20,100 ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც მეჩეთები ასევე ეკლესია-მონასტრები. არერთი მცდელობის მიუხედავად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო ინფორმაციაზე პასუხი არ მოუწოდებია, შესაბამისად შეუძლებელია იმის დადგენა თუ კონკრეტულად რა ოდენობის თანხა გაიცა მეჩეთების კომუნალური გადასახადებისათვის.

დიაგრამა #1



დიაგრამა #2



საქართველოს მხარეები:




ქვემო ქართლი
470100
360,000.00
127887
50000
56000
0
9985
მარნეული
ბოლნისი
დმანისი
თეთრიწყარო
წალკა
გარდაბანი
რუსთავი


შიდა ქართლი
97563
0
130000
90000
გორი
კასპი
ხაშური
ქარელი


გურია
100000
10000
40000
ოზურგეთი
ჩოხატაური
ლანჩხუთი


აჭარა
0
0
0
0
0
0
ბათუმი
ქობულეთი
ხელვაჩაური
ქედა
შუახევი
ხულო


მცხეთა-თიანეთი
55000
0
100000
0
თიანეთი
მცხეთა
დუშეთი
ყაზბეგი


რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი
50620
10662
0
380724
ცაგერი
ონი
ლენტეხი
ამბროლაური


კახეთი
27000
40000
20000
0
0
0
0
0
ყვარელი
ლაგოდეხი
სიღნაღი
თელავი
ახმეტა
გურჯაანი
დედოფლისწყარო
საგარejო


სამეგრელო-ზემო სვანეთი
300000
50000
50000
135000
50000
13964
50000
100000
110000
მესტია
მარტვილი
წალენჯიხა
ზუგდიდი
აბაშა
ხობი
ჩხოროწყუ
სენაკი
ფოთი


იმერეთი
70000
330000
150000
40000
165000
100000
80000
120000
100000
265000
0
80000
ბაღდადი
ჭიათურა
ხონი
ხარაგაული
ზესტაფონი
საჩხერე
თერჯოლა
ვანი
წყალტუბო
სამტრედია
ტყიბული
ქუთაისი


თბილისი
150000
70000
59997
160000
110000
100000
59004
80000
159995
ნაბალადევი
საბურთალო
კრწანისი
სამგორი
ისანი
დიდუბე
ჩუღურეთი
გლდანი
ვაკე-მთაწმინდა

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზი

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტი ითვალისწინებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიებისა და ეკლესიების დაფინანსებას კონკრეტული ქვეპროგრამების მიხედვით. აღნიშნულ ქვეპროგრამებს სპეციალური დასახელება აქვს - „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ შესაბამისი პროგრამული კოდებით[11]. ზოგჯერ, საპატრიარქოს დაფინანსება ინტეგრირებულია ზოგადი შინაარსის პროგრამებში, მაგალითად, „რელიგიის ხელშეწყობა“, „რელიგიური ღონისძიებების დაფინანსება“, „კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“, „ეპარქიების დაფინანსება“, „ეპარქიის ხარჯები“, „ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა“, „ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“, „ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა“,[12] „რელიგიური და სხვა სახის საქმიანობა“.[13] რიგ შემთხვევაში, ამ ქვეპროგრამების ზოგადი შინაარსის გამო, შეუძლებელია დადგინდეს, კონკრეტულად რა ტიპის რელიგიურ დაფინასებას ითვალისწინებს ისინი.

ხშირად, საბიუჯეტო დადგენილებებში რელიგიური ორგანიზაციების ნაცვლად, პირდაპირ მითითებულია ეკლესიის/ეპარქიის დაფინანსება (მაგ. ბოლნისის, ზესტაფონის, ბაღდათის, ბორჯომის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები) ან კონკრეტული ეპარქია. მაგალითად, ხონი-სამტრედიის ეპარქიას სამტრედიის 2023 წლის ბიუჯეტში ექსკლუზიურად აქვს მინიჭებული პროგრამული კოდი - 05 06.

ზოგიერთ საბიუჯეტო დადგენილებაში ვხვდებით ცალსახად არასეკულარული შინაარსის ჩანაწერებსა და მიზნებს. მაგალითად, საჩხერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილებაში, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორად მითითებულია „ქრისტიანული სარწმუნოების გაზრდა

---

[11] პროგრამული კოდები: -05 03; 05 04; 05 05; 05 06; 05 02; 05 02 04; 05 02 03; 05 02 07; 05 02 10.

[12] ადიგენის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (05 04)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 586,000 ლარი, საიდანაც ქვაბიჯვარის წმ. იოანე ნათლისმცემელის სახელობის სამონასტრო სახლის მცირე ტაძრის რეაბილიტაცია-მშენებლობაზე (კაპიტალური გალავნის მშენებლობა) განსაზღვრულია 200,000 ლარი; შოშხოთის მამათა მონასტრის სამონასტრო სახლის რეაბილიტაცია-მშენებლობაზე (კაპიტალური გალავნის მშენებლობა) 175,000 ლარი და ბუზმარეთის მამათა მონასტრის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის 74,206 ლარი.

[13] მარნეულის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (05 02 04)“ 2023 წლის გასწვრივ მითითებულია 470,100 ლარი, საიდანაც 450,000 ლარი განსაზღვრულია კონკრეტულად „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიისთვის“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, ხოლო 20,100 ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის.

მოსახლეობაში“. აბაშის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - „ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის მაღალი მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში“.

რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტს, აქ გამოყოფილია ქვეპროგრამა - „კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში”, სადაც გათვალისწინებულია “რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება”.

მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება

მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და საბიუჯეტო დადგენილებებზე დაყრდნობით, 2023 წელს, მართლმადიდებელ ეკლესიას/ეპარქიებს დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოუყო 46-მა მუნიციპალიტეტმა. 17 მუნიციპალიტეტს კი საპატრიარქოსთვის ფინანსური დახმარება არ გაუწევია.

2023 წელს, საპატრიარქოს ყველაზე დიდი ოდენობით თანხა იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებმა გადაურიცხეს - ჯამში 1,500,000 ლარი. მეორე და მესამე ადგილზეა რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონები, სამცხე-ჯავახეთი - 1,203,666 ლარი და ქვემო ქართლი - 1,073,847.91.

რაც შეეხება ცალკეულ მუნიციპალიტეტებს, დაფინანსების ოდენობის მხრივ, ლიდერობენ მარნეულის და ადიგენის მუნიციპალიტეტები. მარნეულის მუნიციპალიტეტმა 2023 წელს „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას“ გადაურიცხა 450,000 ლარი; ადიგენის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ მონასტრებს გადასცა 449,206 ლარი; ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ბოლნისის ეპარქიას 360,000 ლარი გადაურიცხა, მესტიის მუნიციპალიტეტმა კი 300,000 ლარი გამოუყო მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიას, “ეპარქიაში ძველი შენობების რეაბილიტაციისა და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით”. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის დაფინანსების მოცულობა განსაკუთრებით დიდია სწორედ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია.

ჯამში, 2023 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 6,717,044 ლარი გადაეცა.

დიაგრამა #3



სხვა რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემულ მუნიციპალურ დაფინანსებასთან შედარებით, მიზერულია სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი დახმარება და ის 2023 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხის 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს თანხა გადასცეს ნინოწმინდის და დმანისის მერიებმა, ხოლო თბილისში ისნისა და კრწანისის რაიონულმა გამგეობებმა.

2023 წელს, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტმა** კომუნალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით სომეხთა სამოციქულო წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სამცხე-ჯავახეთის და წალკის ვიკარიატს 6,322 ლარი, ხოლო აღმოსავლეთის ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატის სოფელ ეშტიის სურბ ასტვაწაწინის ეკლესიას 1,224 ლარი გადასცა.

ისნის რაიონის გამგეობამ სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელ წმ. ეკლესიის საქართველოს ეპარქიას 10,000 ლარი გადასცა სურბ ეჩმიაწინის სახელობის ეკლესიასთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ჰაიარტუნის“ შენობის შესაკეთებლად.

კრწანისის რაიონის გამგეობამ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელ წმიდა ეკლესიას გამოუყო 10,000 ლარი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისთვის.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამამლოს მეჩეთის ელექტროენერგიის ხარჯებისთვის გამოიყო 125 ლარი (შედარებისთვის, გარდა 100,000 ლარით მუნიციპალური დაფინანსებისა, დმანისის მუნიციპალიტეტმა მართლმადიდებელი ეპარქიის 7 ეკლესიას ელექტროენერგიის ხარჯებისთვის 15,619 ლარი, წყლის გადასახადისთვის ერთ ეკლესიას 2,971 ლარი, ხოლო ბუნებრივი აირისათვის ორ ეკლესიას 9,172 ლარი გადასცა).

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით, 20,100 ლარი განსაზღვრულია კომუნალური გადასახადებისათვის, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც მეჩეთები, ასევე ეკლესია-მონასტრები. არაერთი მცდელობის მიუხედავად, მარნეულის მუნიციპალიტეტს საჯარო ინფორმაციაზე პასუხი არ გაუცია. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა ოდენობის თანხა გაიცა მეჩეთების კომუნალური გადასახადებისათვის.

ჯამში, 2023 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს 27,671 ლარი გადაეცა.

დიაგრამა #4



რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მიზნობრიობა

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკაში პრობლემურია სუბსიდირების მიზნობრიობის განსაზღვრის წესი და გაუმჭვირვალობა. მერიების მიერ მოწოდებული დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად გაურკვეველია, მართლმადიდებელ ეკლესიებს, ეპარქიებს და სასულიერო პირებს რა მიზნით გადაეცემა მუნიციპალური თანხა და რაში იხარჯება ის. ხშირ შემთხვეაში ინფორმაცია არის ზოგადი და ზედაპირული.[14]

41 მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და 6 მუნიციპალიტეტის საჯაროდ ხელმისაწვდომი საბიუჯეტო დადგენილების ანალიზმა აჩვენა, რომ მერიების მიერ გამოყოფილი თანხის ნახევარზე მეტის ხარჯვის მიზნობრიობა უცნობია. მუნიციპალიტეტის დოკუმენტების დიდ ნაწილში კი, დაფინანსების მიზნად ხშირად მითითებულია „სუბსიდია“, „ფინანსური მხარდაჭერა“, „მოვლა-შენახვის ხარჯები“ ან „დაფინანსება“, რის მიხედვითაც, ასევე შეუძლებელია თანხის გადაცემის დანიშნულების განსაზღვრა.

იმ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კი, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის მითითებული დაფინანსების მიზნობრიობა (63 მუნიციპალიტეტიდან 46 მუნიციპალიტეტში), გამოიკვეთა შემდეგი კატეგორიები: **ტაძრების მშენებლობა / რეკონსტრუქცია / კეთილმოწყობა; რელიგიური დანიშნულების ნივთები და რელიგიური ღონისძიებები; კომუნალური ხარჯები; არარელიგიური დანიშნულების ნივთები; რელიგიური სასწავლებლების და სკოლა-პანსიონების დახმარება, და სხვა.**

საინტერესოა, რომ მოცემული კატეგორიებიდან პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა ეკლესიების "ფინანსურ დახმარებასა" და "ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაციაზე" იხარჯება. თუმცა გაურკვეველია, რა მიზნით გამოიყოფა აღნიშნული "ფინანსური დახმარება".

ტაძრების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/კეთილმოწყობა: უმეტეს შემთხვევაში, ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებულია კონკრეტული ეკლესია ან მონასტერი, სადაც მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან კეთილმოწყობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს. ზოგ მუნიციპალიტეტს კეთილმოწყობის მიზნებში მითითებული აქვს სატრაპეზოს, ეზოს, რეზიდენციის, ფანჩატურის, კედლების, გარე განათების მოწყობა:

- 2023 წელს **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის** მერიამ „ა(ა)იპ მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდს“ გადასცა თანხა ქ. ზესტაფონში წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის ეზოში მარგვეთისა და უბისის ეპარქიის

[14] მაგალითად: მარტვილის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მერიამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭყონდიდის ეპარქიას გადასცა 50,000 ლარი „ეპარქიაში ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად“.

კუთვნილი ორსართულიანი ნაგებობის, (**საპატრიარქოს რეზიდენცია**) სარემონტო სამუშაოებისათვის.

- **სენაკის მუნიციპალიტეტის** მერიამ 100,000 ლარი გადასცა „სსიპ სენაკის და ჩხოროწყუს ეპარქიას“ ზემო თეკლათის დედათა მონასტრის **სატრაპეზოს** მშენებლობისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემის საფუძვლად მითითებულია პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია. საყურადღებოა, რომ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციაზე ჩანაწერი გვხვდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაშიც.

- **ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის** მერიის მიერ სსიპ ფოთისა და ხობის ეპარქიისთვის გადაცემული თანხის მიზნობრიობაში მითითებულია ფოთის საკათედრო ტაძრის ფასადის **დეკორატიული განათების** სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის** მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ,,სოფელ წესში, ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავნის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები", ღირებულებით 310,724.21 ლარი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში **რეაბილიტირდა მცირე ზომის შენობა-ნაგებობები ეკლესიის ტერიტორიაზე, მოეწყო ფანჩატური და კეთილმოეწყო ეზო/გალავანი.**

კომუნალური ხარჯები: 2023 წელს მუნიციპალიტეტების მიერ თანხა გამოიყო რელიგიური ორგანიზაციების კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლადაც. ზოგჯერ, კონკრეტული ეპარქია ან ეკლესია მუნიციპალიტეტისგან ფიქსირებული ოდენობის სუბსიდიას იღებს. ამ თანხის გარდა, მუნიციპალიტეტის გამგეობა საპატრიარქოსთვის იხდის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის გადასახადებსა და შეშის საფასურს.

- **მარნეულის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით 450,000 ლარი განსაზღვრულია კონკრეტულად „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიისთვის“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, ხოლო 20,100 ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის, სადაც ასევე გათვალისწინებულია ეკლესია-მონასტრები და მეჩეთები.

- **დმანისის მუნიციპალიტეტის** მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წელს ერთ ეკლესიას გადაეცა 2,971 ლარი წყლის გადასახადისთვის.

- **ხობის მუნიციპალიტეტის** მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის დედათა მონასტრის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის დასაფინანსებლად გამოიყო 13,964.67 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალურ გადასახადებზე შესაბამისი რესურსის მომწოდებელი კომპანიების მიერ არც საპატრიარქოსა და არც სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის შეღავათები დადგენილი არ არის. ყველა ორგანიზაცია გადასახადს ფიქსირებული ტარიფით იხდის. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებს კომუნალური გადასახადების ძირითად ნაწილს, ფაქტობრივად, სახელმწიფო ბიუჯეტი უფარავს.

რელიგიური დანიშნულების ნივთები და რელიგიური ღონისძიებები: 2023 წელს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან საპატრიარქოსთვის გამოიყო თანხა რელიგიური ღონისძიებების დასაფინანსებლად, ასევე, საეკლესიო ნივთების შესაძენად.

რელიგიური დანიშნულების ნივთების ჩამონათვალში **ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებს** მითითებული აქვთ ზოგადად "ეპარქიის ტაძრების ინვენტარის შეძენა განახლებისათვის, სარეაბილიტაციო და სხვადასხვა დანიშნულების საეკლესიო მასალის შესაძენად". **აბაშის მუნიციპალიტეტის** საბიუჯეტო დადგენილებაში კი პროგრამის აღწერასა და მიზანში მითითებულია რელიგიურ ორგანიზაციათა კანონით ნებადართული" აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა".

რაც შეეხება რელიგიურ ღონისძიებებს, ზოგჯერ, დოკუმენტებში მიზნობრიობა აღნიშნულია, თუმცა, შეუძლებელია თანხის კონკრეტული დანიშნულების განსაზღვრა. **ცაგერის მუნიციპალიტეტის** მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიისათვის გადაცემული მთლიანი თანხიდან (50,620 ლარი) დაფინანსდა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, თუმცა კონკრეტულად რა რაოდენობის თანხა მოხმარდა ამ ღონისძიებას, მითითებული არ არის. **ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის** მერიამ სსიპ ფოთისა და ხობის ეპარქიას გადაურიცხა 30,000 ლარი ფოთის საკათედრო ტაძრის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებისთვის. **საჩხერის მუნიციპალიტეტის** 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით, 100,000 ლარი განსაზღვრულია ა(ა)იპ ,,ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიისთვის", პროგრამის მიზანში კი მითითებულია "საეკლესიო მსახურების ხელშეწყობა, ეპარქიის სახელით საეკლესიო ღონისძიებების ჩატარება".

სხვადასხვა სახის მომსახურება: ამ კატეგორიაში მოხვდა ისეთი ტიპის მომსახურება როგორიცაა კვება და ტრანსპორტირება, ასევე მოვლა-შენახვის ხარჯები.

ყვარლის მუნიციპალიტეტმა ნეკრესის ეპარქიას 27,000 ლარი გამოუყო, რომელიც განსაზღვრულია კვების, კომუნალური გადასახადებისა და სხვადასხვა შიდა სამეურნეო

საქმიანობის განსახორციელებლად. **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის** მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ა(ა)იპ მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდს გადაეცა 165,000 ლარი. აღნიშნული პროგრამის აღწერაში შედის ეპარქიის დაქვემდებარებაში არსებული ორი საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საკვების შეძენა, თუმცა დაკონკრეტებული არაა თანხის ზუსტი ოდენობა. **ცაგერის მუნიციპალიტეტის** მიერ ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიისთვის გადაცემული თანხის (50,560 ლარი) მიზნობრიობაში ასევე მითითებულია ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის“ მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 450,000 ლარი გადაეცა "სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვის" დანიშნულებით. „მოვლა-შენახვის“ და „მოვლა-პატრონობის“ დანიშნულება მითითებულია ასევე, **დმანისის, წალენჯიხისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების** მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა არსებითად არ შეცვლილა და ის არ აკმაყოფილებს სეკულარული, დემოკრატიული, არადისკრიმინაციული და ანგარიშვალდებული სახელმწიფოს მოთხოვნებს.

გაზრდილია ხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის პირდაპირი წესით დაფინანსება. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით, ეს დაფინანსება 2023 წელს სულ მცირე 65 მილიონი ლარი იყო. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერა მასშტაბურია, მისი საჭიროება ხშირ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საჯარო ინტერესით, ოდენობა კი არ ეფუძნება გონივრულ, გაზომვად და ობიექტურ კრიტერიუმებს.

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრიარქო აშკარა პრივილეგიით სარგებლობს. 2023 წელს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი ჯამური თანხა **6,717,044 ლარი** მართლმადიდებელ ეპარქიებსა და ეკლესიებზე გადანაწილდა, დანარჩენი რელიგიური ორგანიზაციებისთვის გაწეული ფინანსური დახმარება კი, **27,671 ლარს**, მთლიანი თანხის 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

მუნიციპალიტეტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხას სპეციალურად რელიგიური ორგანიზაციების დასახმარებლად განსაზღვრული ქვეპროგრამებიდან გამოყოფენ. საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტებს შორის საპატრიარქოს დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა ფიქსირდება სხვადასხვა რელიგიური ჯგუფებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, ადიგენში, ბოლნისსა და მარნეულში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია.

საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელში განსაკუთრებით პრობლემურია დაფინანსების მიზნობრიობის დასაბუთებულობისა და გამჭვირვალობის საკითხი. უცნობია, თუ რა მიზნებისთვის იხარჯება მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი სუბსიდიის დიდი ნაწილი. ზოგ შემთხვევაში, დოკუმენტებში თანხის გადარიცხვისას საფუძვლად მითითებულია პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმება/რეკომენდაცია. აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთი დასტურია, რომ სააგენტო ლეგიტიმური მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არამართლზომიერად ერევა როგორც რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან გამოყოფილი 6,717,044 ლარის გარდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო

ბიუჯეტიდან 25 მილიონ ლარს. ასევე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მთავრობამ განკარგულების საფუძველზე დამატებით მატერიალური სიკეთეები გადასცა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წელს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, აგრეთვე მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საქველმოქმედო ფონდებისათვის ჯამში 33,350,213 ლარი გადასცა. დამატებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირი შესყიდვის ფორმით 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა: წყალტუბოს, მარტვილის, ქ. თბილისის, ხარაგაულის, ოზურგეთის, აბაშის, დუშეთის მუნიციპალიტეტებში მდებარე ჯამში 1,7 ჰა-მდე მიწის ნაკვეთები, ხოლო ქარელის, საგარეჯოს, ადიგენის მუნიციპალიტეტში უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაეცა სახნავი და საძოვარი კატეგორიის მიწის ნაკვეთები, სულ 691 ჰა.

ამდენად, რელიგიური ინსტიტუტების სახელმწიფო დაფინანსების მონაცემები აჩვენებს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა არასეკულარული, გაუმჭვირვალე და დისკრიმინაციულია. მზარდია მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება როგორც ცენტრალური, ისე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან, რაც, სავარაუდოდ, ხელისუფლების პოლიტიკურ, ელექტორალურ და პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება.